



საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კვლევა-მედიამეცნიერება და ზინფორმაციისადმი

კვლევის ანგარიში

2024



ავტორი:

ნინო ჭიაბრიშვილი

ასოცირებული პროფესორი

კვლევის ანგარიშის ჯგუფის ხელმძღვანელი:

მაკა ბიბილეიშვილი

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის აღმასრულებელი

დირექტორი

კვლევაზე მუშაობდნენ:

კატერინა პავლოვა

CRISP-Crisis Simulation for Peace e.V

ნატო გამცემლიძე

Eastern European Network for Citizenship Education

გვანცა შიშინაშვილი

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი

დიზაინერი:

სოფო ლეკვეიშვილი

რედაქტორი:

რიტა ბაინდურაშვილი

წინამდებარე კვლევა მომზადებულია სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მიერ, პროექტის „კულტურულად მრავალფეროვან გარემოში ყალბი ამბების წინააღმდეგ ბრძოლა“ ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს CRISP-Crisis Simulation for Peace e.V გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან და აღმოსავლეთ ევროპის სამოქალაქო განათლების ქსელთან (EENCE) პარტნიორობით.

კვლევის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი და შესაძლოა, ის არ გამოხატავდეს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეხედულებებს.

შინაარსი

შესავალი	5
კვლევის დიზაინი და ეთიკა	6
კვლევის შეზღუდვები	8
მონაცემთა ანალიზი და ძირითადი მიგნებები	8
1. ინფორმაციის წყაროები და სანდოობის ინდიკატორები	14
2. მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციები	22
3. ციფრული სამყაროს გავლენა პროფესიულ საქმიანობაზე	29
ძირითადი დასკვნები	35
რეკომენდაციები	38
გამოყენებული ლიტერატურა	39

შესავალი

ინტერნეტის გლობალური ხელმისაწვდომობა სულ უფრო მეტ ადამიანს აძლევს განსხვავებულ კულტურულ გარემოში პირდაპირი და რეგულარული კომუნიკაციის დამყარების საშუალებას. ინტერნეტის ამგვარი ხელმისაწვდომობა დროისა და მანძილის ტრადიციულ ბარიერებს სპობს და სულ უფრო მზარდ საერთაშორისო ონლაინგარემოს ქმნის. ახალ გარემოს თან ახლავს კულტურასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებული ახალი გამოწვევები. ამ გამოწვევებს შორისაა ციფრული თანასწორობა და მარგინალიზაცია, ციფრული იდენტობის თანმდევი სირთულეები და სხვ. ცვლილებების შედეგად, ერთი მხრივ, საინფორმაციო ველი უფრო პლურალისტური გახდა და საინფორმაციო ციკლი დაჩქარდა; მეორე მხრივ, კი იმის გამო, რომ სოციალურ მედიას პროფესიული რედაქტირების ფუნქცია არ აქვს, დეზინფორმაციის, სიძულვილის ენის შემცველი შინაარსის გავრცელებაც უფრო მარტივი გახდა (კინზურაშვილი, და სხვ., 2019).

მედიაინგიერიების ამაღლება საქართველოში 2017 წლის ბოლოს ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა საკანონმდებლო დონეზე. „მაუწყებლობის შესახებ“¹ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“² კანონებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, მედიაინგიერიების განვითარების ფუნქცია კომუნიკაციების კომისიას დაეკისრა; დამტკიცდა მედიაინგიერიების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგია და სამსლიანი სამოქმედო გეგმა; მთელ რიგ სახელმწიფო და საჯარო უწყებებს მუშაობა დაევალოთ მედიაინგიერიების საკითხებზე, რომელთა შორისაც არის: ციფრული წიგნიერება, კიბერუსაფრთხოება, კიბერჰიგიენა და პირადი სივრცის ხელშეუხებლობა (ბასილაია & დანელია, 2022).

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მცირეა კვლევები, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მედია და ინფორმაციული წიგნიერების კომპეტენციებსა და დეზინფორმაციისადმი მათ დამოკიდებულებას შეისწავლის, განსაკუთრებით ისეთ კრიტიკულ პერიოდში, როგორცაა ქვეყნის პროდასავლური კურსი, რუსეთ-უკრაინის ომი და მისი თანმდევი პრორუსული პროპაგანდა.

მასწავლებლის, როგორც ცოდნის გამავრცელებლის, როლი - ციფრული წიგნიერების განვითარება და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა - დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასში ან რა ტიპის სკოლაში ასწავლიან/სწავლობენ, მასწავლებლებს/პედაგოგებს და მოსწავლეებს გზის გაკვლევა სულ უფრო და უფრო რთულ ინტერნეტგარემოში უწევთ, რომელიც იმაზე მეტ ნასაკითხ, მოსასმენ და სანახავ მასალას გვთავაზობს, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა შესაძლებელი (European Union, 2023).

¹ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=59>

² საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29620?publication=36>

კვლევის დიზაინი და ეთიკა

წინამდებარე კვლევა 2023 წლის დეკემბერში ჩატარდა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პროექტის - „კულტურულად მრავალფეროვან გარემოში ყალბი ამბების წინააღმდეგ ბრძოლა“ - ფარგლებში.³ კვლევის სამიზნე ჯგუფში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სხვადასხვა საფეხურისა და საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები შედიოდნენ. **კვლევის მიზანი** იყო, დაგვედგინა სამიზნე ჯგუფის მედეგობა დეზინფორმაციის მიმართ. მიზნის შესაბამისი **კითხვები** ასე ჩამოყალიბდა:

1. რა წყაროებით იღებს სამიზნე ჯგუფი ინფორმაციას ახალი ამბების შესახებ?
2. რა ფაქტორები განსაზღვრავს სამიზნე ჯგუფისთვის წყაროს/ინფორმაციის სანდოობას?
3. როგორ შეიძლება, შეფასდეს სამიზნე ჯგუფის ციფრული კომპეტენციები და დეზინფორმაციისადმი მედეგობა?

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023/2024 სასწავლო წლის მონაცემებით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023/2024), სკოლის მასწავლებელთა რიცხვი საქართველოში 64 ათასია. 99% სარწმუნოების დონეზე და 4% სარწმუნოების ინტერვალის დონეზე, ნიმუში, რომელიც 1832 მონაწილისგან შედგება, გამოკითხვაში მონაწილეთა რიცხვის რეპრეზენტატიულობასა და შედეგების განზოგადების შესაძლებლობას განაპირობებს. გარდა ამისა, მონაწილეები წარმოადგენდნენ საქართველოს 11 რეგიონს, რაც სხვადასხვა გეოგრაფიული კლასტერის სურათს უზრუნველყოფდა.

კვლევაში გამოყენებულია კვლევის დედუქციური მეთოდები, რომლებიც მისდევს შემდეგ გზას: თეორია - ჰიპოთეზა - ანალიზი - დადასტურება. კვლევისთვის გამოვიყენეთ როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები. კვლევის რაოდენობრივმა მონაცემებმა თავი მოიყარა წინასწარ შემუშავებული ონლაინ კითხვარის საფუძველზე, რომელიც დახურულ პასუხებს მოიცავდა და 23 კითხვისგან შედგებოდა. კითხვარი google form-ის გამოყენებით შეიქმნა და მისი ბმული მასწავლებლებს გავუზიარეთ.

კითხვარის თეორიული ჩარჩო განისაზღვრა იუნესკოს მედია და ინფორმაციული წიგნიერების შემდეგი კომპონენტებით: ა) ინფორმაციისა და მონაცემთა ხელმისაწვდომობა; ბ) კომუნიკაცია და თანამშრომლობა; გ) ციფრული შინაარსის შექმნა; დ) უსაფრთხოება; და ე) პრობლემების გადაჭრა (UNESCO Institute for Statistics, 2018).

მასწავლებლებმა კითხვარი ანონიმურად შეავსეს, რამაც კითხვებზე პასუხის გაცემისას გარკვეულწილად განაპირობა მათი გულწრფელობა. პასუხების ანალიზამდე მოხდა რესპონდენტთა პასუხების კოდირება, რაც შემდეგ ძირითად ეტაპებს მოიცავდა: 1. ყოველი რესპონდენტისთვის უნიკალური კოდის მინიჭება; 2. თითოეული კითხვისთვის კოდის მინიჭება; 3. ონლაინ მონაცემთა სისტემის შექმნა; 4. კოდების წიგნის შექმნა. 4. კოდების შემონემა და მონაცემთა გასუფთავება.

მონაცემები Microsoft Excel-ში შევიდა და მათი ფილტრაციის, დახარისხებისა და ვალიდაციის სისტემები გამოვიყენეთ მონაცემთა ბაზის ვარიაციისა და კოდირების გასაადვილებლად და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკურად დამუშავების მიზნით.

კითხვარის ვალიდობის შესაფასებლად მისი პილოტირება ზოგადი განათლებისა და მედიაწიგნიერების სპეციალისტებთან შედგა. პილოტირების შედეგების საფუძველზე დაიხვეწა კითხვების ფორმულირება კითხვარის საბოლოო ვერსიაში. პილოტირების შედეგებისა და საბოლოო ვერსიების შედეგების მსგავსებამ კითხვარის სანდოობის შედარებით მაღალი ხარისხი დაადასტურა.

მონაცემების თვისებრივი გაანალიზებისას გამოვიყენეთ Excel-ის კორელაციური და კროსტაბულაციური ანალიზი და Python-ში დანერგილი პროგრამა, რომელმაც რეგრესიული ანალიზის საშუალება მოგვცა და ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ცვლადის გავლენა დაგვანახა დამოკიდებულ ცვლადზე.

თვისებრივი კვლევისთვის, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით, ასევე, ჩავატარეთ სიღრმისეული ნახევრად სტრუქტურირებული სინქრონული ინტერვიუ არაალბათური გზით შერჩეულ, 12-კაციან 2 ფოკუს ჯგუფთან, რამაც საშუალება მოგვცა, უფრო დეტალურად და ვრცლად შეგვესწავლა რესპონდენტთა გამოცდილება. მონაწილეებს წინასწარ ვთხოვეთ ნებართვა ჩანაწერის წარმოებაზე, რომელთაც მხოლოდ კვლევის მიზნებისთვის გამოვიყენებდით და ინტერვიუს ანალიზის პროცესში დაგვეხმარებოდა.

ფოკუსჯგუფის ფორმატი მისი მოქნილობის (მონაწილეთა რაოდენობა და დისკუსიის ხანგრძლივობა), ევალუირებული ხასიათის (თითოეული მონაწილის ჩართვა დისკუსიაში თანაბრად ნახალისებულია), დიდი რაოდენობის ინფორმაციის ერთბაშად მოპოვების, ჯგუფური დინამიკის წვდომის შესაძლებლობისა და სინერგეტიკის ეფექტის (მონაწილენი დისკუსიის პროცესში სპონტანურად იწყებენ გარკვეულ საკითხებზე რეფლექსიას, რაზეც, შესაძლოა, მანამდე არც უფიქრიათ) გამო ავირჩიეთ (Tsuladze, 2020).

³ პროექტის პარტნიორები არიან Crisis Simulation for Peace e.V-ი (CRISP) და აღმოსავლეთ ევროპის სამოქალაქო განათლების ქსელი (EENCE) ხოლო ფინანსური მხარდაჭერია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის შედეგების განზოგადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები:

მართალია, კვლევის ფარგლებში რესპონდენტთა რაოდენობა რეპრეზენტატიული იყო, მაგრამ კვლევის შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საკვლევი საკითხები შესწავლილ იქნა კითხვარისა და ფოკუსჯგუფების გამოყენებით. არ გვქონია პროცესზე უშუალოდ დაკვირვების შესაძლებლობა. შესაბამისად, კვლევის შედეგები, მიგნებები და დასკვნები ეყრდნობა რესპონდენტების მოსაზრებებს, მათ აღქმებსა და წარმოდგენებს, გამოცდილებასა და თვითშეფასებას საკვლევი საკითხთან დაკავშირებით.

კვლევის ერთ-ერთ შეზღუდვად შეიძლება განხილული იქნას რესპონდენტთა არაგულწრფელობაც, თუმცა, ვფიქრობთ აღნიშნული პრობლემის შემცირება ნაწილობრივ შესაძლებელი გახდა მოდერაციის ტექნიკების გამოყენებით, მათ შორის, ფოკუსჯგუფებისა და ინტერვიუების მიმდინარეობისას გადასამონმებელი კითხვების დასმით.

კვლევის ფარგლებში სასურველი იქნებოდა, ერთის მხრივ, მედია და ინფორმაციული წიგნიერების შესახებ არსებული სასწავლო რესურსების და, მეორე მხრივ, მოსწავლეთა ინფორმაციული წიგნიერების განმაპირობებელი სხვა ფაქტორების შესწავლა, რაც მეტ სანდოობას შესძენდა კვლევას.

ასევე საინტერესო იქნებოდა სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მშობლები) მედია და ინფორმაციული წიგნიერების შესწავლა და იმის განსაზღვრა, თუ როგორ უწყობს სასკოლო საზოგადოება ხელს მოსწავლეთა მედია და ინფორმაციული კომპეტენციების განვითარებას.

მონაცემთა ანალიზი და ძირითადი მიგნებები

ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 1832 პედაგოგმა მიიღო მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელთაგან მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო 1663 ადამიანი, ხოლო მამრობითის - 169. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მამაკაცების სიმცირე ზოგადსაგანმანათლებლო სივრცის ტრადიციულ სურათს ასახავს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023/2024), რაც წინამდებარე კვლევამაც დაადასტურა.

კვლევამ საქართველოს ყველა რეგიონი⁴ დაფარა. რეგიონების მიხედვით რესპონდენტების განაწილება მოცემულია N1 ცხრილში.

⁴ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ მოწყობაში გამოიყოფა 9 რეგიონი, 2 ავტონომიური რესპუბლიკა და დედაქალაქი - თბილისი (იხ. <https://www.gov.ge/regions-of-georgia>).

N	რეგიონი	რ-ბა	მათბან
1	აჭარა	167	ქალი 137 მამაკაცი 30
2	გურია	260	ქალი 226 მამაკაცი 34
3	თბილისი	222	ქალი 213 მამაკაცი 9
4	იმერეთი	221	ქალი 207 მამაკაცი 14
5	აჭაბუგეთი	135	ქალი 131 მამაკაცი 4
6	მცხეთა-მთიანეთი	109	ქალი 104 მამაკაცი 5
7	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	124	ქალი 110 მამაკაცი 14
8	სამეგრელო-ზემო სვანეთი	147	ქალი 114 მამაკაცი 33
9	სამცხე-ჯავახეთი	150	ქალი 144 მამაკაცი 6
10	ქვემო ქართლი	180	ქალი 164 მამაკაცი 16
11	შიდა ქართლი	108	ქალი 105 მამაკაცი 3
0	არ მოუთითებია	9	ქალი 8 მამაკაცი 1
	სულ	1832	ქალი 1663 მამაკაცი 169

ცხრილი N1: რესპონდენტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

მრავალფეროვანი იყო რესპონდენტების წარმომადგენლობა საგნების/საგნობრივი ჯგუფების მიხედვით - კვლევაში თითქმის ყველა საგნის მასწავლებელი მონაწილეობდა. საგნების/საგნობრივი ჯგუფების მიხედვით კვლევის მონაწილეების განაწილება N2 ცხრილშია ნაჩვენები.

N	საგანი/საგნობრივი ჯგუფი	რ-ბა	მათგან
1	ბიოლოგია	74	ქალი 74 მამაკაცი 0
2	ბიოლოგია, ქიმიკა	15	ქალი 15 მამაკაცი 0
3	გეოგრაფია	39	ქალი 39 მამაკაცი 0
4	გეოგრაფია, მოქალაქეობა	16	ქალი 16 მამაკაცი 0
5	უსხო ენა (მიუთითებლად)	14	ქალი 14 მამაკაცი 0
6	გერმანული	8	ქალი 8 მამაკაცი 0
7	ინგლისური	119	ქალი 118 მამაკაცი 1
8	რუსული	50	ქალი 47 მამაკაცი 3
9	ფრანგული	4	ქალი 3 მამაკაცი 1
	სულ	195	ქალი 190 მამაკაცი 5
10	ღანყობის საფეხური	153	ქალი 153 მამაკაცი 0
11	ისტ-ი	35	ქალი 30 მამაკაცი 5
12	ისტორია	88	ქალი 73 მამაკაცი 15
13	ისტორია, მოქალაქეობა	95	ქალი 85 მამაკაცი 10
14	მათემატიკა	138	ქალი 120 მამაკაცი 18
15	მოქალაქეობა	258	ქალი 217 მამაკაცი 41
16	მუსიკა	46	ქალი 46 მამაკაცი 0
17	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	46	ქალი 46 მამაკაცი 0
18	საპე. მასწავლებელი	24	ქალი 24 მამაკაცი 0
19	სპორტი	34	ქალი 19 მამაკაცი 15
20	ფიზიკა	31	ქალი 24 მამაკაცი 7
21	მართული ენა და ლიტერატურა	212	ქალი 208 მამაკაცი 4
22	მართული, როგორც მეორე ენა	6	ქალი 6 მამაკაცი 0
23	ქიმიკა	38	ქალი 38 მამაკაცი 0
0	არ მიუთითებია	274	ქალი 240 მამაკაცი 34

ცხრილი N2: რესპონდენტების განაწილება საგნების/საგნობრივი ჯგუფების მიხედვით

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი „მოქალაქეობის“ მასწავლებლები არიან. 274 რესპონდენტს არ მიუთითებია საგანი,⁵ რომელსაც სკოლაში ასწავლის, თუმცა, კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ მათი მოსაზრებების ანალიზიც. ასევე, საყურადღებოა უცხო ენის მასწავლებელთა მოსაზრებების დიფერენცირებული ანალიზიც იმ დაშვებით, რომ შესაძლოა, ენა, რომელსაც ისინი ასწავლიან (მაგ., რუსული), გავლენას ახდენდეს მათ ინფორმაციულ წიგნიერებასა და დემინფორმაციისადმი შედეგობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მიზანი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რუსული ენის სწავლებისადმი მასწავლებელთა დამოკიდებულების კვლევა არ იყო, ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა რუსული ენის შესწავლის მსურველ მოსწავლეთა და მშობელთა რაოდენობის ზრდა აღნიშნეს. მე-2 ცხრილის მიხედვით, ინგლისური ენის მასწავლებლების (119) შემდეგ რაოდენობით მეორე ადგილზე რუსული ენის მასწავლებლები (50) არიან. რუსული ენის ცოდნის აუცილებლობის შესახებ მათი არგუმენტი სამთავრობო მედიის მიერ შეთავაზებული მოსაზრებების გამოძახილად შეიძლება, მივიჩნიოთ - „მტრის ენა უნდა იცოდე“, „ჩათრევას ჩაყოლა სჭობს“, „ენა არაფერ შუაშია ომთან“, „ენა დიდი რუსული კულტურის ნაწილია“ და ა.შ.

მე-2 ცხრილიდან, ასევე, ნათლად ჩანს ე.წ. „მამაკაცური“ და „ქალური“ საგნები/საგნობრივი ჯგუფები. მამაკაცთა უმრავლესობა ასწავლის ისტორიას, მოქალაქეობას, მათემატიკას, სპორტს, ფიზიკას, ხოლო სხვა საგნების სწავლებას მთლიანად ქალებს „უთმობენ“.


რესპონდენტების ასაკობრივი ანალიზის დროს გამოვლინდა, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი (674 მასწავლებელი) ჯგუფი 45-55 წლის მასწავლებლები არიან. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილეობდა 25-35 წლამდე 183 (10.0%) და 65 წელს გადაცილებული 103 (5.6%) მასწავლებელი, რაც გავლენას ახდენს მათ მიერ ინფორმაციის წყაროებზე წვდომაზე, წყაროს არჩევანზე და მისი სანდოობის განსაზღვრაზე - ამას ადასტურებს მათი პასუხების ანალიზი, რომელსაც შემდგომ ვიხილავთ. 46 წლამდე და 55 წელს გადაცილებული მასწავლებლების მიახლოებული რაოდენობები, შესაბამისად, 633 (34.6%) და 518 (28.3%), შესაძლოა, პროფესიის დაბერების ერთგვარ მაჩვენებლადაც მივიჩნიოთ (იხ. ცხრილი 3).

⁵ ზოგადად, კითხვარის შევსებისადმი გავრცელებული უპასუხისმგებლო და არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, განსაკუთრებით განათლების სფეროს წარმომადგენლებში, სოციალური კაპიტალის დეფიციტის მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ.

N	ასაკი	რ-ბა	მათგან
1	25-35	183	გალი 148 მამაკაცი 35
2	36-45	450	გალი 405 მამაკაცი 45
3	46-55	674	გალი 629 მამაკაცი 45
4	56-65	415	გალი 382 მამაკაცი 33
5	65-ზე მეტის	103	გალი 93 მამაკაცი 10
0	არ მიუთითებია	7	გალი 6 მამაკაცი 1

ცხრილი N3: რესპონდენტების ასაკობრივი განაწილება

მეტი თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ გთავაზობთ რესპონდენტების ასაკისა და სქესის კროსტაბულაციურ დიაგრამას (N1), სადაც ვერტიკალურ ხაზზე რესპონდენტების რაოდენობებია მოცემული, ხოლო ჰორიზონტალურზე - ასაკობრივი კატეგორიები. 1-იანი მდებარეობით სქესს აღნიშნავს, ხოლო 2-იანი - მამრობითს.



დიაგრამა N1: რესპონდენტების ასაკი და სქესი

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ რესპონდენტების სკოლაში მუშაობის ხანგრძლივობის ცოდნაც. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული რესპონდენტების სკოლაში მუშაობის წლები 1-დან 55 წლამდე მერყეობდა, ხოლო ყველაზე მრავალრიცხოვანი (სულ 542 მასწავლებელი) იყო იმ მასწავლებლების ჯგუფი, ვისაც პროფესიული საქმიანობის 11-დან 20 წლამდე გამოცდილება ჰქონდა. მათგან 496 ქალია, ხოლო 46 - მამაკაცი მასწავლებელი.

თუკი ერთმანეთს შევადარებთ სკოლაში მუშაობის 20 წლამდე და 20 წელზე მეტი გამოცდილების მქონე მასწავლებლების რაოდენობას, შესაბამისად, 879 (48.0%) და 868 (47.4%), ვნახავთ, რომ თითქმის ერთნაირია, რაც აძლიერებს ჩვენს ვარაუდს მასწავლებლის პროფესიის დაბერებისადმი. დადებით ტენდენციად, შეიძლება, მივიჩნიოთ 20 წლამდე მუშაობის გამოცდილების მქონე რესპონდენტებში მამაკაცი მასწავლებლების შედარებით დიდი ხვედრითი წილი, რაც საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტია (58.6%). (იხ. ცხრილი N4)


N	სტაჟი	რ-ბა	მათგან
1	1-10 წელი	337	გალი 284 მამაკაცი 53
2	11-20 წელი	542	გალი 496 მამაკაცი 46
3	21-30 წელი	493	გალი 457 მამაკაცი 36
4	31-40 წელი	300	გალი 283 მამაკაცი 17
5	41-50 წელი	67	გალი 63 მამაკაცი 4
6	50 წელზე მეტი	8	გალი 8 მამაკაცი 0
0	არ მიუთითებია	85	გალი 72 მამაკაცი 13

ცხრილი N4: რესპონდენტების სკოლაში მუშაობის წლები

კვლევის რესპონდენტთა შესახებ ზოგადი დემოგრაფიული მონაცემების ანალიზის გარდა, კვლევის შინაარსობრივი ნაწილის ანალიზი რამდენიმე ძირითად მიმართულებად წარმოვადგინეთ. კითხვარის თეორიული ჩარჩოს შესაბამისად, ეს მიმართულებებია: (1) ინფორმაციის წყაროები და სანდოობის ინდიკატორები; (2) ციფრული კომპეტენციები; (3) ციფრული სამყაროს გავლენა პროფესიულ საქმიანობაზე. კვლევის შედეგების ანალიზსა და ძირითად მიგნებებს სწორედ ამ მიმართულებების მიხედვით გთავაზობთ.

1. ინფორმაციის წყაროები და სანდოობის ინდიკატორები

თანამედროვე რთულ მედიაგარემოში მასწავლებლების ქცევის შესასწავლად მნიშვნელოვანი იყო, გავვეგო, რა წყაროებს იყენებენ/ირჩევენ მასწავლებლები ახალ ამბების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. მათ შეეძლოთ, შეერჩიათ ოთხი შეთავაზებული პასუხი - ტელევიზია, სოციალური ქსელი, ბეჭდური მედია, ახლობლები (როგორც დამოუკიდებლად, ასევე - მათი სხვადასხვა კომბინაციით). რესპონდენტების პასუხების განაწილება ქვემოთ მოცემულ N2 დიაგრამაშია ნაჩვენები.



დიაგრამა N2: ახალი ამბების უპირატესი წყარო






დიაგრამიდან ჩანს, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილისთვის (36.6%) ახალი ამბების შესახებ ინფორმაციის მიღების უპირატესი წყარო სოციალური ქსელია. მხოლოდ ტელევიზია 81 მასწავლებელმა მიუთითა, მხოლოდ ბეჭდური მედია - 9-მ, ხოლო მხოლოდ ახლობლები - 8 მასწავლებელმა.

რაც შეეხება წყაროთა სხვადასხვაგვარ კომბინაციას, 30.0%-ით რაოდენობით პირველ ადგილზეა სოციალური ქსელისა და ტელევიზიის კომბინაცია, ხოლო მეორეზე (10.6%) - სოციალური ქსელის, ტელევიზიისა და ბეჭდური მედიის კომბინაცია. დანარჩენი მცირერიცხოვანი კომბინაციები თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ მოცემულ N5 ცხრილშია წარმოდგენილი.

N	ახალი ამბების მიღების წყარო	რ-ბა	%-ში
1	ტელევიზიით, სოციალური ქსელით, ახლობლებისგან	89	4,9
2	ტელევიზიით, სოციალური ქსელით, ბეჭდური მედიით, ახლობლებისგან	76	4,1
3	სოციალური ქსელით, ახლობლებისგან	67	3,7
4	სოციალური ქსელით, ბეჭდური მედიით	52	2,8
5	ტელევიზიით, ბეჭდური მედიით	12	0,7
6	ტელევიზიით, ახლობლებისგან	7	0,4
7	სოციალური ქსელით, ბეჭდური მედიით, ახლობლებისგან	2	0,1
8	ბეჭდური მედიით, ახლობლებისგან	1	0,1
9	სხვა	13	0,7

ცხრილი N5: ახალი ამბების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები

Python-ში რეგრესიული ანალიზის პროგრამის საფუძველზე შევადარეთ დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ახალი ამბების შესახებ ინფორმაციის წყაროსა და, მეორე მხრივ, რესპონდენტების ასაკს, მასწავლებლად მუშაობის წლებს, სამუშაო ადგილს (რეგიონს) შორის. ყველაზე მკაფიოდ ახალი ამბების შესახებ ინფორმაციის წყაროსა და ასაკის ურთიერთკავშირი გამოიკვეთა. მრავალცვლადიანმა რეგრესიულმა ანალიზმა (სადაც დამოუკიდებელი ცვლადი იყო ახალი ამბების შესახებ ინფორმაციის წყარო) შედარებით ცხადი ურთიერთდამოკიდებულება აჩვენა ახალი ამბების წყაროსა და რესპონდენტების ასაკს შორის, რაც თვალსაჩინოდ ჩანს ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე (N3).




დიაგრამა N3: დამოკიდებულება ასაკსა და ინფორმაციის წყაროს არჩევანს შორის

ჰორიზონტალურ ხაზზე კოდებით მოცემულია წყაროები და მათი კომბინაციები. კერძოდ, ციფრი 1 აღნიშნავს ახლობლებისგან მიღებულ ინფორმაციას, 2 - ბეჭდურ მედიას, 3 - ბეჭდურ მედიასა და ახლობლებს, ტელევიზიას, 4 - სოციალურ ქსელს, 5 - პასუხს „სხვა“, 6 - ბეჭდურ მედიასა და ახლობლებს, 7 - სოციალურ ქსელსა და ახლობლებს, 8 - სოციალურ ქსელსა და ბეჭდურ მედიას, 9 - სოციალურ ქსელს, ბეჭდურ მედიასა და ახლობლებს, 10 - ტელევიზიასა და ბეჭდურ მედიას, 11 - ტელევიზიასა და ახლობლებს, 12 - ტელევიზიასა და სოციალურ ქსელს, 13 - ტელევიზიას, 14 - ტელევიზიას, სოციალურ ქსელსა და ბეჭდურ მედიას, 15 - ტელევიზიას, სოციალურ ქსელსა და ახლობლებს, 16 - ტელევიზიას, სოციალურ ქსელს, ბეჭდურ მედიასა და ახლობლებს, ხოლო 17 იმ რესპონდენტებს, რომლებმაც წყარო არ მიუთითეს.

როგორც დიაგრამებზე ჩანს, ახალგაზრდა რესპონდენტებისთვის სოციალური ქსელები (4) ახალი ამბების შესახებ ინფორმაციის მიღების უპირატესი წყაროა და ტელევიზიას (13) შედარებით ნაკლებად ირჩევენ, თუმცა, ასაკის მატებასთან ერთად სურათი იცვლება და პირველ ადგილს ტელევიზია იკავებს, რომელიც თავის პიკს 65 წელზე უფროს მასწავლებლებთან აღწევს. ასაკის პროპორციულად მატულობს, ასევე, ბეჭდური მედიისა და ახლობლების მნიშვნელობა ახალი ინფორმაციის მიღებისას.

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის მისაღებად ტელევიზიას მხოლოდ 81 მასწავლებელი იყენებს, სანდოობის თვალსაზრისით მას ყველაზე მეტი - 400 რესპონდენტი ირჩევს. სანდოობის მიხედვით, რაოდენობით მეორე ადგილზე ტელევიზიისა და სოციალური ქსელის კომბინაცია (393) დგას, ხოლო მესამე ადგილზე, 297 მომხმარებლით, სოციალური ქსელისადმი ნდობა. 147 მასწავლებელმა შეარჩია ტელევიზიის, სოციალური ქსელისა და ბეჭდური მედიის კომბინაციისადმი ნდობა, 136-მა - ტელევიზიისა და ბეჭდური მედიისადმი, 162-მა - მონიშნა პასუხი „სხვა“, ხოლო 10 რესპონდენტს პასუხი არ მიუთითებია.

სანდოობის თვალსაზრისით მცირერიცხოვანი კომბინაციები ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



დიაგრამა N4: რესპონდენტების ნდობა სხვადასხვა წყაროსადმი (მცირერიცხოვანი კომბინაციები)

საინტერესოდ მივიჩნით იმის განსაზღვრაც, ხომ არ მოქმედებდა მასწავლებლების მიერ ინფორმაციის წყაროს არჩევანზე საგანი, რომელსაც ისინი ასწავლიდნენ სკოლაში. მონაცემთა ანალიზმა ეს ურთიერთკავშირი არ დაადასტურა, თუმცა, ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო განათლების მასწავლებლები ინფორმაციის მისაღებად უარს ამბობენ ბექდურ მედიამზე, ტელევიზიაზე და ახლობლებზე, როგორც ინფორმაციის წყაროზე. მათი უმრავლესობა (76.5%) უპირატესობას სოციალურ ქსელებს ანიჭებს.

რესპონდენტებს წყაროს სანდოობის რამდენიმე ინდიკატორი შეთავაზეთ: ა) წყარო ეყრდნობა ავტორიტეტულ გამოცემებსა და ინსტიტუტებს; ბ) წყაროს შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალეა; გ) წყაროს მიერ გამოქვეყნებული ენა არაემოციური, დაბალანსებული და ფაქტებზე დამყარებულია; დ) ყველა პასუხი სწორია. მათ შეეძლოთ ამ ინდიკატორების როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვადასხვა კომბინაციის მონიშვნა.

აღსანიშნავია, რომ ყველა ინდიკატორი (პასუხი (დ) - „ყველა პასუხი სწორია“) მნიშვნელოვნად მასწავლებელთა 36.2%-მა მიიჩნია. რაოდენობით მეორე ადგილზეა გამოცემებისა და ინსტიტუტების ავტორიტეტი (16.2%), მესამე ადგილზეა წყაროს შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა (14.5%), ხოლო მეოთხეზე - სიახლეებში გამოყენებული ენა (11.0%). ნდობის ინდიკატორების შედარებით მცირერიცხოვანი კომბინაციები N6 ცხრილის სახითაა წარმოდგენილი.


N	სანდოობის ინდიკატორები	რ-ბა	%-ში
1	წყაროს მიერ მოწოდებული სიახლეები ეყრდნობა ავტორიტეტულ გამოცემებსა და ინსტიტუტებს; წყაროს შესახებ ინფორმაცია (ფლორეალის ვინაობა, მიზნები, სარედაქციო პოლიტიკა) გამჭვირვალეა.	189	10,3
2	წყაროს შესახებ ინფორმაცია (ფლორეალის ვინაობა, მიზნები, სარედაქციო პოლიტიკა) გამჭვირვალეა; წყაროს მიერ გამოქვეყნებული სიახლეებში გამოყენებული ენა არაემოციური, დაბალანსებული და ფაქტებზე დამყარებულია.	142	7,8
3	წყაროს მიერ მოწოდებული სიახლეები ეყრდნობა ავტორიტეტულ გამოცემებსა და ინსტიტუტებს; წყაროს მიერ გამოქვეყნებული სიახლეებში გამოყენებული ენა არაემოციური, დაბალანსებული და ფაქტებზე დამყარებულია.	70	3,8
4	არ მიუთითებია	6	0,3

ცხრილი N6: რესპონდენტების მიერ წყაროს სანდოობის ინდიკატორების განსაზღვრა

რესპონდენტთა უმრავლესობა არ ითვალისწინებს, რომ შესაძლოა, წყაროს სანდოობის არცერთი ინდიკატორი არ აღმოჩნდეს უტყუარი და უმჯობესია, განიხილონ ამ ინდიკატორების კომბინაცია, რათა დარწმუნდნენ ინფორმაციის ნამდვილობაში. მასწავლებელთა ამგვარი დამოკიდებულება მათი არასაკმარისი ციფრული კომპეტენციებით შეიძლება, აიხსნას.

ამ ეჭვს ამყარებს ვებგვერდის სანდოობის შესამოწმებელი ინდიკატორების შესახებ მასწავლებელთა ცოდნის დეფიციტიც. შეთავაზებული 4 პასუხიდან - „ვამონებ „ჩვენს შესახებ“ სექციას“, „ვამონებ საკონტაქტო ინფორმაციას“, „ვამონებ ვებგვერდის მფლობელისა და გუნდის შესახებ ინფორმაციას“ და „ყველა გემოთ ჩამოთვლილი პასუხი სწორია“ - ეს უკანასკნელი მხოლოდ 46.9%-მა მონიშნა. მხოლოდ ვებგვერდის მფლობელისა და გუნდის შესახებ ინფორმაციის შემოწმებას საკმარისად 33.0% მიიჩნევს, საკონტაქტო ინფორმაციის შემოწმებას - 11.7%, ხოლო „ჩვენს შესახებ“ სექციის შემოწმებას - 5.3%. ჯამურად, რესპონდენტების ზუსტად ნახევარი (50.0%) ცალკეულ ინდიკატორებს ენდობა და არ ითვალისწინებს, რომ არცერთი ცალკეული ინდიკატორი უტყუარი (სრულიად საიმედო) არ არის ვებგვერდის სანდოობის შეფასებისას. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა 3.3%-მა საერთოდ აარიდა თავი ამ კითხვაზე პასუხს.

რაც შეეხება ინფორმაციის სანდოობის გადამოწმების სიხშირეს, შეთავაზებული იყო ოთხი პასუხი: „არასოდეს“, „რეგულარულად (თვეში ერთხელ)“, „ყოველდღიურად“ და „ხშირად (კვირაში ერთხელ მანაც)“. მათგან რესპონდენტების 36.3%-მა ეს უკანასკნელი მონიშნა. 24.6%-მა უპასუხა „იშვიათად“, 20.8%-მა - „რეგულარულად“, 16.4%-მა - „ყოველდღიურად“, ხოლო 2.0%-მა აღნიშნა, რომ არასოდეს ამოწმებს.




დიაგრამა N5: ინფორმაციის გადამოწმების სიხშირე

ფოკუს ჯგუფში სიღრმისეული ინტერვიუს დროს რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ პროფესიულ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებული სირთულეების (ფორმალური დოკუმენტები, არასაჭირო ბიუროკრატია და ა.შ.) გამო ინფორმაციის გადამონმების არც დრო, არც სურვილი და არც ენერჯია არ რჩებათ. მათი ეს დამოკიდებულება, ერთის მხრივ, თვით მათი, ხოლო მეორე მხრივ, მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებისა და დეზინფორმაციისადმი მონყვლადობის გარკვეულ საფრთხედ შეიძლება მივიჩნიოთ. მხოლოდ ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა ინფორმაციის გადამონმების აუცილებლობა იმ შემთხვევაში, როცა მისი გაზიარება სურს მოსწავლეებისთვის.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ასევე დაბეჭდებით ასახელებდნენ ტელევიზიებს „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ს როგორც ინფორმაციის მიღების ყველაზე სანდო სატელევიზიო არხებს. ვფიქრობთ, რესპონდენტების ასაკთან ერთად ინტერნეტზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა⁶ და ციფრული კომპეტენციების დეფიციტი განაპირობებს მათ არჩევანს, ენდონ სამთავრობო არხებით მონოდებულ ინფორმაციას. ეს ფაქტი განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსული ნარატივების გავრცელებას სხვადასხვა საზოგადოებრივი და სამთავრობო მაუწყებლები თავისუფლად ახორციელებენ (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2019).

კითხვარი ითვალისწინებდა მასწავლებელთა დამოკიდებულების განსაზღვრას სოციალური ქსელების მიმართ. შეთავაზებული სოციალური ქსელებიდან (Facebook-ი, Instagram-ი, TikTok-ი, YouTube-ი, Telegram-ი) ისინი უმეტესწილად (35.9%) Facebook-ს ირჩევენ. მეორე ადგილზეა YouTube-ი (1.3%), ხოლო Instagram-ი და TikTok-ი შესაბამისად მესამე (0.2%) და მეოთხე (0.1%) ადგილებს ინაწილებენ. Telegram-ი დამოუკიდებლად არც ერთმა რესპონდენტმა არ მონიშნა. შეთავაზებული ქსელების კომბინაციებიდან შედარებით მრავალრიცხოვნებით (32.0%) გამოირჩევა ა) Facebook-ისა და YouTube-ის, ბ) Facebook-ის, Instagram-ისა და YouTube-ის (9.8%) და გ) Facebook-ისა და Instagram-ის (5.5%) კომბინაციები. რაც შეეხება დანარჩენ მცირერიცხოვან კომბინაციებს, მათ 100-ზე ნაკლები მომხმარებელი ჰყავთ (იხ. დიაგრამა N6).



დიაგრამა N6: უპირატესი სოციალური ქსელების მცირერიცხოვანი კომბინაციები

სოციალურ ქსელებსა და მასწავლებელთა ასაკს შორის მიმართებების ანალიზისას Facebook-ის უპირატესობის საერთო ტენდენცია შენარჩუნდა და აღმოჩნდა, რომ ის შეუცვლელია ნებისმიერი ასაკის რესპონდენტისთვის.


⁶ 2020 წლის მონაცემებით საქართველოში 78,000-მდე სოციალურად დაუცველ პირს არ აქვს ინტერნეტი. მათი 95% ცხოვრობს ინტერნეტის დაფარვის ზონაში, თუმცა ხელმოკლეობის გამო ვერ ახერხებს ინტერნეტის საფასურის გადახდას <https://idfi.ge/public/upload/Sida/Internet-Geo.pdf>

2. მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციები

მასწავლებლების ციფრული კომპეტენციების შესასწავლად მათ ვთხოვეთ, 5 ქულიანი სკალით (სადაც 1 არის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, ხოლო 5 - ყველაზე მაღალი) შეეფასებინათ ინფორმაციის სანდოობის გადამოწმების საკუთარი უნარი. მასწავლებელთა 17.3%-მა უმაღლესი ქულით შეაფასა საკუთარი თავი, ნახევარმა (50.1%) - 4 ქულით, 29.6%-მა - 3 ქულით, 2.2%-მა - 2 ქულით და მხოლოდ 0.5%-მა - 1 ქულით.

ამგვარი რანჟირება გარკვეულ ეჭვს ჰბადებს რესპონდენტების მიერ საკუთარი შესაძლებლობების ამა თუ იმ მიზეზით არაობიექტურ შეფასებაში (არაობიექტური ნარმოდგენა საკუთარ უნარებზე, სოციალური როლის მიმართ არსებული მოლოდინების თანხვედრის სურვილი, და სხვ.). ეჭვს განსაკუთრებით აჩენს რესპონდენტების პასუხები კითხვაზე - რას მოილოქმედებთ ინფორმაციის გადასამოწმებლად? მათ ხუთი შეთავაზებული პასუხის მონიშვნა შეეძლოთ დამოუკიდებლად და/ან სხვადასხვა კომბინაციაში. ეს პასუხებია: ა) აზრს ვკითხავდი მეგობრებს/ოჯახს; ბ) შევამოწმებდი, რას წერენ ახალ ამბავზე სხვა წყაროები; გ) გავაანალიზებდი ინფორმაციას; დ) შევამოწმებდი FactCheck-ის⁷ საიტზე; ე) შევამოწმებდი სტატიაში მოყვანილ წყაროებს.

ინფორმაციის გადამოწმების სიხშირისა და ინფორმაციის გადამოწმების უნარის თვითშეფასების ანალიზმა მათ შორის დადებითი კორელაცია გვაჩვენა (იხ. დიაგრამა N7) - რაც უფრო დარწმუნებულია მასწავლებელი საკუთარ შესაძლებლობაში, მით უფრო ხშირად ამოწმებს ინფორმაციას. დიაგრამის ჰორიზონტალურ ღერძზე თვითშეფასების უნარია მოცემული, ხოლო ვერტიკალურზე - შეფასების სიხშირე.








დიაგრამა N7: ინფორმაციის შემოწმების უნარისა და ინფორმაციის შემოწმების უნარის თვითშეფასების კავშირი

⁷ <https://factcheck.ge>

რესპონდენტების პასუხების ანალიზმა აჩვენა, რომ ინფორმაციის გადასამოწმებლად საიტს - FactCheck - მხოლოდ 235 რესპონდენტი იყენებს, მათგან 17 მთლიანად ენდობა საიტს და სხვა წყაროებს აღარ იშველიებს, ხოლო დანარჩენი 218 მასწავლებელი საიტთან ერთად სხვადასხვა წყაროს მიმართავს დასახმარებლად. ყველაზე მრავალრიცხოვანია იმ მასწავლებლების რაოდენობა (311 რესპონდენტი), რომელიც თვლის, რომ ახალ ამბავზე სხვა წყაროების შემოწმება ინფორმაციის გადამოწმების საუკეთესო საშუალებაა. გამოკითხულ მასწავლებელთა ნახევარზე მეტი (1075 რესპონდენტი, 58.7%,) მხოლოდ საკუთარ ცოდნასა და უნარებს ენდობა და სხვადასხვა კომბინაციები აირჩიეს, რომელშიც რაოდენობით პირველ ადგილზე დგას სტატიაში არსებული წყაროების შემოწმება (72.4%), მეორეზე - სხვა წყაროების გადამოწმება (64.7%), ხოლო მესამეზე - ინფორმაციის გაანალიზება (61.4%).

მცირერიცხოვნების გამო საჭიროდ აღარ მივიჩნიეთ პასუხების იმ 8 კომბინაციის დეტალური ანალიზი, რომელიც 198-მა რესპონდენტმა აირჩია და სადაც პასუხი - „აზრს შევეკითხებოდი მეგობრებს/ოჯახს“ - რაოდენობით პირველ ადგილზე დგას.



მრავალცვლადიანმა რეგრესიულმა ანალიზმა დამოკიდებული ცვლადის წინასწარმეტყველების საშუალება მოგვცა. დამოუკიდებელი ცვლადებად მივიჩნიეთ სქესი და ციფრული უნარების თვითშეფასება, ხოლო დამოკიდებულად - ინფორმაციის გადამოწმების უნარი. ანალიზმა აჩვენა, რომ როცა თვითშეფასება იცვლება დაბლიდან მაღლისკენ, რესპონდენტები უმტესნილად შემდეგ სამ პასუხს ირჩევენ: შევამოწმებდი FactCheck საიტზე, შევამოწმებდი სტატიაში მოყვანილ წყაროებს (ციფრი 19); შევამოწმებდი რას წერენ ახალ ამბავზე სხვა წყაროები (ციფრი 20); გავაანალიზებდი ინფორმაციას (ციფრი 21). ქვემოთ გთავაზობთ გრაფიკებს, რომლებიც ასახავს დამოკიდებულებას თვითშეფასების ქულასა და ინფორმაციის გადამოწმების უნარს შორის (იხ. დიაგრამა N8).



მასწავლებლების 44.5%-ისთვის ციფრული კომპეტენციების განვითარების რესურსი ინტერნეტი და სოციალური ქსელია. კოლეგებისგან გაზიარებული ცოდნა აღნიშნა 24.9%-მა, 5.0% მეგობრებს მიიჩნევს ცოდნის წყაროდ, ხოლო საკმაოდ ბევრმა მათგანმა (20.4%) მონიშნა პასუხი „სხვა“, თუმცა არ მიუთითებია, რას გულისხმობდა. მხოლოდ 4.6%-მა აღიარა, რომ ჯერ არ აქვს ასეთი ცოდნა/უნარები.

ჩვენს კითხვარში ამ კითხვას პასუხის გაცემისგან თავის არიდების ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი აქვს. პასუხი არ მიუთითებია რესპონდენტების მეხუთედზე ოდნავ მეტს (21.0%-ს), ხოლო პასუხი „სხვა“ 0.5%-მა მონიშნა. ეს ჯამურად 21.5%-ია და, ვფიქრობთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველს აჩენს. პირველ რიგში, ეს შესაძლებელია იყოს ციფრული კომპეტენციების სერიოზული დეფიციტი, არასაკმაო გულწრფელობა და პროფესიული პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მცდელობა.

საინტერესოდ მივიჩნიეთ იმ რესპონდენტების ნაწილის (4.6%) პასუხების უფრო დეტალური ანალიზი, რომელმაც აღიარა, რომ არ აქვს ინფორმაციის გადამონმებისთვის საჭირო ცოდნა/უნარები. კროსტაბულაციური დიაგრამიდან (N10) ჩანს, რომ უმეტესწილად მათი პასუხია (ციფრი 2) „იშვიათად (თვეში ერთხელ)“ და (ციფრი 1) „არასოდეს“, ხოლო რაც შეეხება შესამონმებელი მასალის ტიპს (იხ. დიაგრამა N9), ისინი უმეტესწილად (2.5%) ტექსტების ავთენტურობას (ციფრი 1) ამონმებენ, თუმცა, ბუნდოვანია, როგორ აკეთებენ ამას შესაბამისი ცოდნის/უნარის გარეშე.




დიაგრამა N8: ურთიერთდამოკიდებულება ინფორმაციის სანდოობის უნარის თვითშეფასებასა და წყაროს ნამდვილობის შეფასების უნარს შორის

დიაგრამა N9: შემონმებული ინფორმაციის ტიპი

დიაგრამა N10: ინფორმაციის გადამონმების სიხშირე

აღმოჩნდა, რომ ინფორმაციის გადამონმების უნარის მქონე მასწავლებელთა უმეტესობა (75.9%) ყველაზე ხშირად ტექსტური ინფორმაციის ნამდვილობას ამოწმებს. ვიდრე 10.5% ამოწმებს, ფოტოს 4.9%, ხოლო პასუხი „სხვა“ 7.9%-მა მონიშნა, მითითების გარეშე. ეს მაჩვენებლები საგულისხმოა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ რესპონდენტები მასწავლებლები არიან, რომლებიც გარდა ტექსტური რესურსებისა, მოსწავლეებთან მრავალი სხვა სახის (ვიდეო, ფოტო, აუდიო და სხვ.) სასწავლო რესურსსაც იყენებენ და მათი ავთენტურობის გადამონმება პროფესიული პასუხისმგებლობაა.

ამავე კითხვის გაგრძელება იყო შეკითხვა, თუ სად მოიძიებენ მასწავლებლები იმ სასწავლო რესურსებს, რომლებსაც მედიანიგნიერებისთვის იყენებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ პასუხებში რაოდენობით პირველ ადგილზე ინტერნეტიდან მოძიებული რესურსები დგას (იხ. დიაგრამა N11), კიდევ უფრო ცხადი გახდება მსოფლიო ქსელში გაზიარებული დიდი რაოდენობის რესურსის ავთენტურობის განსაზღვრის კომპეტენციის მნიშვნელობა.




დიაგრამა N11: მედიანიგნიერებისთვის რესურსების მოძიების წყარო

საჭირო მედიარესურსების ადგილსამყოფელს შორის მეორე ადგილზე დამატებითი სასწავლო რესურსები და გრიფირებული სახელმძღვანელოები (შესაბამისად, 68.7% და 68.3%). 43.7% კოლეგებს ასახელებს, როგორც მედიანიგნიერებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროს. 3.0%-ს შეადგენს იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც პასუხი „სხვა“ აირჩია, ხოლო 0.6%-მა კითხვას პასუხი არ გასცა.


ციფრულ ნიგნიერებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი კითხვა ასეთი იყო: - გქონიათ თუ არა შემთხვევა, რომ სოციალურ ქსელში ინფორმაცია გააზიარეთ და ის ყალბი აღმოჩნდა? ამ კითხვას მასწავლებელთა ნახევარზე მეტი (51.8%) უარყოფით პასუხს სცემს, 22.5%-ი - დადებითს, ხოლო დაახლოებით ამდენივე (25.4%) ასეთ შემთხვევას ვერ იხსენებს.

მიუხედავად ერთი შეხედვით პოზიტიური ტენდენციისა, მომდევნო კითხვაზე - „დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა მოიმოქმედეთ?“ (იგულისხმება, თუ გაზიარებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდა, როგორ მოიქცევიან რესპონდენტები) - რესპონდენტების პასუხები გულწრფელობის გარკვეულ ეჭვს ბადებს. N12 დიაგრამაზე ჩანს, რომ შეთავაზებული 5 პასუხიდან რესპონდენტების მხოლოდ 22.2%-მა ნაშალა პოსტი, ინფორმაცია 6.7%-მა გაასწორა, შეცდომისთვის ბოდიში მოიხადა და გამოასწორა 5.7%-მა, ხოლო 3.8%-მა უცვლელად დატოვა. რესპონდენტების მეხუთედზე მეტი (21.1%) თავს არიდებს ამ კითხვაზე პასუხს და ვარიანტი „სხვა“ აქვს მონიშნული, რაც კვლავ გარკვეული არასახარბიელო ვარაუდების საფუძველს აჩენს გულწრფელობისა და პროფესიული პასუხისმგებლობის თავიდან არიდების შესახებ.



დიაგრამა N12: ყალბი ინფორმაციის გაზიარების შემდგომი ქმედება

კითხვაზე - „რას მოიმოქმედებდით ინტერნეტში ინფორმაციის გაზიარებამდე?“ ძირითადად სოციალურად მისაღები პასუხია გაცემული: „დავრწმუნდები, რომ წყარო სანდოა“ (58.0%). ეს კიდევ ერთხელ აძლიერებს ეჭვს მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციებისადმი, განსაკუთრებით თუ გავისხენებთ ინფორმაციის გადამოწმების უნარებსა და ინფორმაციის გადამოწმების სიხშირესთან დაკავშირებულ მათ პასუხებს, სადაც აღნიშნული უნარების დეფიციტი იკითხება.




დიაგრამა N13: ქმედება ინფორმაციის გაზიარებამდე

არადამაჯერებელია რესპონდენტების კომპეტენციები, რადგან მათ გაუჭირდათ ყალბი ინფორმაციის ნიშნების ამოცნობა. კითხვაზე „რომელი არ არის ყალბი ინფორმაციის მიმანიშნებელი?“ პასუხს 77-მა რესპონდენტმა თავი აარიდა. ამბის სიძველეს 376 რესპონდენტი, ფოტო/ვიდეო მასალაზე დამუშავების კვალს 285 რესპონდენტი და სტატიის ავტორად არარეალური ჟურნალისტის მითითებას 118 რესპონდენტი, ჯამურად 779 მასწავლებელი არ მიიჩნევს ინფორმაციის სიყალბის ინდიკატორებად.

3. ციფრული სამყაროს გავლენა პროფესიულ საქმიანობაზე

კვლევის ძირითადი მიზანი იყო დებინფორმაციისადმი მასწავლებელთა დამოკიდებულების შესწავლა. ამისათვის მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, გავგეგოვო, რას თვლიან მასწავლებლები დებინფორმაციის მიზნად. ამ კითხვაზე მასწავლებელთა პასუხებისთვის რაოდენობებსა და პროცენტებში იხილეთ დიაგრამა N14, სადაც ციფრი 1 პოლიტიკურ მიზანს აღნიშნავს, 2 - საზოგადოების პოლარიზაციას, 3 - ფინანსურ სარგებელს, 4 - იუმორს/გართობას, 5 - პასუხს „სხვა“, ხოლო 0 - პასუხგაუცემელ რაოდენობას.



დიაგრამა N14: დებინფორმაციის მიზნის განსაზღვრა

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების 70.9%-მა სწორად დაასახელა დემინფორმაციის მიზანი (პოლიტიკური და საზოგადოების პოლარიზაცია), ჩვენი აზრით, საყურადღებოა ის 160 და 34 რესპონდენტი, რომელმაც, შესაბამისად პასუხად „სხვა“ და „იუმორი/გართობა“ აირჩია, რადგან ვთვლით, რომ დემინფორმაციის არსის და მიზნების არცოდნა მათ განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის დემინფორმაციის, როგორც მოვლენის მიმართ. თავისთავად ცხადია მასწავლებლების ცოდნის დეფიციტის გავლენა მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე დემინფორმაციის მიმართ.

ციფრულ სამყაროში მიმდინარე მოვლენებისადმი მასწავლებელთა განწყობა/დამოკიდებულებების შესწავლას ემსახურებოდა კითხვარის რამდენიმე კითხვა, რომელთა გრაფიკულ თვალსაჩინოებას და ანალიზს ქვემოთ გთავაზობთ.

კითხვაზე „როგორ მოქმედებს ინტერნეტში ნანახი ინფორმაცია თქვენზე“, რესპონდენტების თითქმის მეხუთედმა 19.7%-მა (345 მასწავლებელი) თავი აარიდა. 36.1% ინფორმაციის გადამონმების შემდეგ მშვიდდება, 23.9%-ი ცდილობს გაუმკლავდეს და ნეიტრალურობას ინარჩუნებს, ხოლო 32.7% დისკომფორტს განიცდის - შფოთავს და ითრგუნება.

მომდევნო კითხვა მიზნად ისახავდა ახალი ამბების გავლენის შესწავლას რესპონდენტების ქცევაზე. აქაც 6.4%-მა (117 მასწავლებელი) თავი აარიდა პასუხს, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ პასუხებს, თვალსაჩინოდ N7 ცხრილშია წარმოდგენილი:

N	ახალი ამბები და რესპონდენტების ქცევა	რ-ბა	%-ში
1	ვცდილობ, თავდაპირველად და რაციონალურობა შემინარჩუნო	943	51.5
2	შეიძლება, უფრო ფრთხილად მოვიპოვო საკუთარ სათქმელსა და ქცევას	568	31.0
3	მოქმედებს ჩემს გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე	128	7.0
4	ზოგაერ მიწვევს საპასუხო ქმედებას	79	4.3

ცხრილი N7: რესპონდენტების საპასუხო ქცევა ახალ ამბებზე

ცხრილიდან ჩანს, რომ ახალი ამბების პირისპირ მასწავლებელთა მხოლოდ ნახევარზე ოდნავ მეტი (51.5%) ახერხებს რაციონალურობის შენარჩუნებას, ხოლო 42.3%-ისთვის (პასუხები N 2-4) დისკომფორტი და ქცევის ცვლილება ახალი ამბების თანმდევია.

სიღრმისეული ინტერვიუს დროს ახალი ამბების გავლენაზე, განსაკუთრებით, რუსეთ-უკრაინის და საქართველოში მცოცავი ოკუპაციის შესახებ საუბრისას, რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა ერთგვარი უმწეო („ჩვენ არაფრის შეცვლა შეგვიძლია და მოვლენების პასიური დამკვირვებლები ვართ“) და უიმედო დამოკიდებულება („თავიდან სხვას ვერაფერს ვაკეთებდი, ყოველ წუთს ახალ ინფორმაციას ვამონმებდი, მუდმივად ვმსჯელობდი... მერე თანდათან მივხვდი, რომ აზრი არ აქვს ნერვიულობას...“) მიმდინარე მოვლენების მიმართ. ვფიქრობთ, ამგვარი დამოკიდებულება მასწავლებლების ყურადღებას ადუნებს და პრორუსული დემინფორმაციისადმი მათ მოწყვლადობას ზრდის.

ერთი შეხედვით დადებითი ტენდენციის მაჩვენებელია ის, რომ მასწავლებლების უმრავლესობას (74.0%) შეუძლია ახალი ამბები სასწავლო რესურსად აქციოს და სწავლება რეალურ ცხოვრებას დაუკავშიროს. თუმცა, წინა აბზაცში გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებას გარკვეულწილად ადასტურებს და რესპონდენტების გულწრფელობაში ერთგვარ ეჭვს იწვევს მათი პასუხები იმის შესახებ, თუ როგორ აისახება ახალი ამბები მათ მუშაობაზე. თითქმის მეხუთედი (19.9%) მიიჩნევს, რომ მათ სასწავლო გეგმას საერთო არაფერი აქვს ახალ ამბებთან, ხოლო 9.5%-მა თავი აარიდა პასუხს. თუ როგორ იყენებს რესპონდენტების დარჩენილი რაოდენობა ახალ ამბებს პროფესიულ საქმიანობაში ქვემოთ მოცემულ N8 ცხრილშია წარმოდგენილი.

N	ახალი ამბები და რესპონდენტთა საქმიანობა	რ-ბა	%-ში
1	ინფორმაცია შესაძლოა, დაგუპავშირო ჩემს საქმიანობას	487	26.6
2	საშუალებას მაძლევს, ბალანსი დავიცვა ახალ ამბებსა და სასწავლო გეგმას შორის	496	27.1
3	შესაძლოა, ჩემი სასწავლო მასალები შემცვალო მიმდინარე მოვლენებზე დაყრდნობით	181	9.9
4	აძუალუობას და რეალურ კონტენტს მათებს ჩემს გაკვეთილებს	192	10.5

ცხრილი N8: ახალი ამბების გავლენა რესპონდენტთა საქმიანობაზე

განსაკუთრებით საგულისხმოა ეს ეჭვი, თუკი ციფრულ კომპეტენციებთან დაკავშირებულ მასწავლებელთა პასუხებს გავიხსენებთ. როგორ შეუძლიათ მასწავლებლებს ახალი ამბების რესურსად გამოყენება მათი ავთენტურობის შემოწმების არასაკმარისი ცოდნის პირობებში, ან რა შედეგი შეიძლება მოიტანოს მათმა გადანყვეტილებამ, რომ გადაუმონებელი ამბები გამოიყენონ სასწავლო რესურსად.


გაკვეთილზეახალიამბებისგანხილვისგანთავსიკავებსმასწავლებელთა 8.2%, 47.2%-სთვის ეს გადანყვეტილება დამოკიდებულია ახალი ამბის შინაარსზე. მხოლოდ 2.3%-სთვის არის ახალი ამბების განხილვა სწავლების სტრატეგიის ნაწილი, რაც თუ წინა კითხვაზე პასუხების („ახალი ამბები ჩემს გაკვეთილებს აქტუალობას და რეალურ კონტექსტს მატებს“) რაოდენობას (10.5%) გავიხსენებთ, კვლავ გულწრფელობის და სოციალურად მისაღები პასუხის გაცემის ეჭვს აჩენს.

რაც შეეხება დანარჩენ პასუხებს, რესპონდენტების 11.3% ხელს უწყობს მოსწავლეთა დისკუსიას შესაბამის ახალ ამბებზე, 31.1% მოსწავლეებს უფლებას აძლევს გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საინტერესოდ მივიჩნიეთ იმის განსაზღვრაც, განიხილავენ თუ არა მასწავლებლები ახალ ამბებს კოლეგებთან და რა გავლენას ახდენს ეს მათ ურთიერთობაზე. აღნიშნულ საკითხებზე პასუხს თავი მასწავლებელთა 15.0%-მა აარიდა.

აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების 61.2% ხშირად საუბრობს ახალი ამბების შესახებ კოლეგებთან და 75.8% აზრით ეს ღია და მეგობრულ გარემოში ხდება, თუმცა, 11.6%-ის აზრით, გაზიარება ხშირად კონფლიქტების წინაპირობა ხდება, ხოლო 5.7% მოსალოდნელი კონფლიქტის შიშით უარს ამბობს განხილვაზე. მასწავლებლების მცირე ნაწილი (0.8%) თვლის, რომ სკოლაში არასდროს ხდება მოსაზრების გაზიარება მიმდინარე მოვლენების შესახებ, ხოლო 7.6%-ის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სამასწავლებლოში ხდება განხილვა, თავად ცდილობს, არ ჩაერთოს. მხოლოდ 22.7%-მა აღნიშნა, რომ იშვიათად განიხილავენ ახალ ამბებს და განხილვა კოლეგების ინტერესსა და სურვილზეა დამოკიდებული.

დაბოლოს, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის თითქმის ორი წლისთავზე გვანტერესებდა, როგორ აისახა ომი მათ პროფესიულ საქმიანობაზე. რესპონდენტების მეხუთედზე ოდნავ მეტმა (21.0%) განაცხადა, რომ შექმნილი სიტუაცია საერთოდ არ შეხებია მათ გაკვეთილებს და სასწავლო პროცესს, ხოლო 15.2%-მა თავი აარიდა კითხვაზე პასუხს.

ამ კითხვაზე პასუხის შემთხვევაშიც მასწავლებლებს შეეძლოთ სასურველი პასუხების მონიშვნა დამოუკიდებლად და სხვა პასუხებთან კომბინაციაშიც. ქვემოთ მოცემული N15 დიაგრამა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს მათ პასუხებს ყველაზე მრავალრიცხოვანიდან დაბალრიცხოვანისკენ.



დიაგრამა 15: რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა მასწავლებელთა საქმიანობაზე

ვერტიკალურ ხაზზე ციფრებით 1-8 მასწავლებელთა შემდეგი პასუხებია აღნიშნული:

N	პასუხები
1	მოსწავლემს ვუმარაბი სიტუაციის შესახებ სანდო წყაროების მოკვებასა და შეფასებაში
2	მოსწავლემს ვთავაზობ მის სასწავლო რესურსს და მსალომას კონფლიქტების მოგვარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ
3	წავაზობ მოსწავლემს, ჩართონ კრიზისის შესახებ ღია დიალოგი, რითაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას
4	გაკვეთილებაზე ვხედავ მიმდინარე მოვლენებს, რათა გამოვლიტო კონტექსტის გაგებაში დავეხმარო მოსწავლემს
5	დინამიკურად მოსწავლემს ვგზავნი სანდო და დისკუსიებს ვთავაზობ უკრაინის კრიზისის შესახებ
6	ვთანაგრძობ მასწავლებელთა და ორგანიზაციებთან, მოსწავლემისთვის ობიექტური ცოდნის გაზიარების მიზნით
7	ვცდილობ კონფლიქტით დაზარალებული მოსწავლემის ემოციურ მხარდაჭერას
8	ჩემს გაკვეთილებს მნიშვნელოვნად დაემყო განვითარებული მოვლენები და გაკვეთილის გეგმის შეცვლა მიწვევს

ცხრილი N9: მასწავლებელთა პასუხები კოდებით

დიაგრამასა და ცხრილზე დაკვირვებით ვნახავთ, რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა პასუხებთან კომბინაციაში 1-ლ და მე-2 პასუხებს აქვს. მე-3, მე-4 და მე-5 პასუხები თითქმის მსგავსი რაოდენობისაა. მე-6 პასუხის დამოუკიდებლად მონიშვნის წილი კი ბევრად ნაკლებია სხვა პასუხებთან ერთად კომბინაციაში მონიშვნასთან შედარებით, რაც აჩვენს ეჭვს, რომ სკოლა ჩაკეტილ სისტემად რჩება, მასწავლებლებს უჭირთ სკოლის გარეთ ურთიერთობების დამყარება და თანამშრომლობა და მხოლოდ საკუთარ პროფესიულ შესაძლებლობებს ენდობიან.

ძირითადი დასკვნები

ქვეყნის მასშტაბით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლების დეზინფორმაციისადმი მედეგობის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია, კვლევის კონკრეტული ამოცანების შესაბამისად განვიხილოთ დასკვნები, რომელიც მონაცემთა რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა. საჭიროა, დასკვნებს სიფრთხილით მოვეკიდოთ, ზოგიერთ კითხვაზე პასუხების არასაკმარისი რაოდენობის გამო.

მასწავლებლების მიერ ახალი ამბების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები და მათდამი ნდობა

- ახალგაზრდა მასწავლებლებისთვის ახალი ამბების შესახებ ინფორმაციის მიღების უპირატესი წყარო სოციალური ქსელია. ასაკის მატებასთან ერთად, პირველ ადგილს ტელევიზია იკავებს, რაც პიკს 65 წელზე უფროს მასწავლებლებთან აღწევს. ასაკის პროპორციულად მატულობს ბექდურის მედიისა და ახლობლების როლიც ახალი ინფორმაციის მიღებისას.
- ასაკოვანი მასწავლებლები უპირატესად ტელევიზიას ენდობიან.
- სამოქალაქო განათლების მასწავლებლები ინფორმაციის მისაღებად უარს ამბობენ ბექდურ მედიაზე, ტელევიზიაზე და ახლობლებზე, როგორც ინფორმაციის წყაროზე.
- წყაროს/ვებგვერდის სანდოობის შეფასებისას მასწავლებლები არ იყენებენ შეფასების ინდიკატორების კომბინაციას. მათი ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი შეიძლება, არასაკმარისი ციფრული კომპეტენციები იყოს.
- მასწავლებლებს ინფორმაციის გადამონშების დრო, სურვილი და ენერჯია არ რჩებათ. მათი ეს დამოკიდებულება თვით მათი და მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებისა და დეზინფორმაციისადმი მოწყვლადობის გარკვეულ საფრთხედ შეიძლება, იქცეს.
- მასწავლებლები ენდობიან სამთავრობო არხებით მოწოდებულ ინფორმაციას, რისი მიზეზიც, რესპონდენტების ასაკთან ერთად, ინტერნეტზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა და ციფრული კომპეტენციების დეფიციტი შეიძლება, იყოს. ეს ფაქტი განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში უწყვეტ პროგრესულ ნარატივებსა და პროპაგანდას.
- სოციალური ქსელებიდან Facebook-ი შეუცვლელია ნებისმიერი ასაკის რესპონდენტისთვის.

მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციები

- მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციები ბმაში არ არის მათ სქესთან და არც სამუშაო ადგილის გეოგრაფიასთან, ის ბმაშია ასაკთან.
- ინფორმაციის ავთენტურობის შესამოწმებლად საკუთარ ცოდნასა და უნარებს ენდობიან და ინფორმაციის შესამოწმებლად ნაკლებად იყენებენ სპეციალურ საიტებს.
- მასწავლებლებისთვის ციფრული კომპეტენციების განვითარების უპირატესი რესურსი ინტერნეტი და სოციალური ქსელია.
- ციფრულ კომპეტენციებთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხისგან თავის არიდების მაღალი მაჩვენებელი ამ კომპეტენციების სერიოზული დეფიციტის, არაგულწრფელობისა და პროფესიული პასუხისმგებლობისგან გარიდების მცდელობად შეიძლება, მივიჩნიოთ.
- მათი პასუხები ხშირად სოციალური როლისადმი მოლოდინების ამსახველია და არა ობიექტური რეალობის.
- მასწავლებლები უპირატესად ტექსტური ინფორმაციის ნამდვილობას ამოწმებენ და ივინყებენ, რომ ტექსტური რესურსების გარდა, მრავალი სხვა სახის (ვიდეო, ფოტო, აუდიო და სხვ.) სასწავლო რესურსსაც იყენებენ მოსწავლეებთან, ამიტომ მათი ავთენტურობის გადამოწმება პროფესიული პასუხისმგებლობაა.
- მედიანიგნიერებისთვის საჭირო სასწავლო რესურსებს პედაგოგები ინტერნეტში პოულობენ, რაც ცხადად მეტყველებს მსოფლიო ქსელში გაზიარებული მრავალფეროვანი რესურსის ავთენტურობის განსაზღვრის კომპეტენციის მნიშვნელობაზე.
- მასწავლებლები ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან საკუთარ ციფრულ კვალს და პოსტის/წყაროს გაზიარებამდე მისი შემოწმების მხოლოდ საკუთარ კომპეტენციას ენდობიან.
- მასწავლებლებს უჭირთ ინფორმაციის სიყალბის ნიშნების ამოცნობა.

ციფრული სამყაროს გავლენა პროფესიულ საქმიანობაზე

- ზოგადად, მასწავლებლები მეტისმეტი სიფრთხილით (შეიძლება ითქვას, შიშითაც) ეკიდებიან საკუთარი მოსაზრების გამოთქმას და გაჩუმებას ამჯობინებენ.
- დემინფორმაციის არსისა და მიზნების არცოდნა მასწავლებლებს მონყვლადს ხდის დემინფორმაციის მიმართ. მათი ცოდნის დეფიციტმა შეიძლება, არასასურველი გავლენა მოახდინოს დემინფორმაციის მიმართ მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე.

- მასწავლებლებში შეინიშნება ინტერნეტში ნანახი ინფორმაციის თანმდევი დისკომფორტი და ქცევის ცვლილება. უმწეობისა და უიმედობის განცდა მძაფრდება, როცა საქმე რუსეთ-უკრაინი ომსა და საქართველოში მცოცავ ოკუპაციას ეხება. შესაძლოა, მათი ამგვარი დამოკიდებულება ყურადღების მოდუნებისა და პრორუსული დემინფორმაციისადმი მათი მონყვლადობის ზრდის განმაპირობებელი იყოს/გახდეს.
- მასწავლებლები ახალ ამბებს სასწავლო რესურსად იყენებენ და სწავლების რეალურ კონტექსტთან დაკავშირებას ცდილობენ, თუმცა, ბუნდოვანია, როგორ ახერხებენ ამას ავთენტურობის შემოწმების არასაკმარისი ცოდნით/უნარით, და რა შედეგი შეიძლება, მოუტანოს ამან მოსწავლეებს.
- მასწავლებელთა ნაწილი საერთოდ ვერ ხედავს/იყენებს ახალ ამბებს სწავლებისას.
- კოლეგები ახალ ამბებს განიხილავენ, თუმცა, ეს კონფლიქტების წინაპირობაც შეიძლება, გახდეს. განხილვისას იშვიათად ითვალისწინებენ კოლეგების ინტერესსა და სურვილს.
- რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი მასწავლებელთა მხოლოდ ნაწილის პროფესიულ საქმიანობაზე აისახა.
- მასწავლებლებს უჭირთ სკოლის გარეთ ურთიერთობების დამყარება და თანამშრომლობა, და მხოლოდ საკუთარ პროფესიულ შესაძლებლობებს ენდობიან.
- ციფრულ ლანდშაფტში ნავიგაციისთვის აუცილებელია ციფრული უნარების განვითარება და სიფრთხილე იმ ინფორმაციის მიმართ, რომელსაც მასწავლებლები ონლაინ მოიხმარენ და სასწავლო რესურსად იყენებენ.
- დემინფორმაცია, არასწორი ინფორმაციისა და ცრუ ნარატივების გავრცელება ძაბავს მასწავლებელთა ურთიერთობებს და ხელს უშლის სკოლაში თანამშრომლობითი გარემოს განვითარებას.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია ყველა რეგიონში მასწავლებლებთან მეტი და მრავალფეროვანი მუშაობა ციფრული კომპეტენციების განვითარებისთვის.
- ციფრული კომპეტენციების განვითარების ძირითად ფორმად აღიარებულია ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები, თუმცა საჭიროა მასწავლებლებს გაცილებით ფართე არჩევანი ჰქონდეთ.
- დებინფორმაციის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდისთვის საჭიროა მეტი მუშაობა სწავლების სხვადასხვა საფეხურზე და საგნობრივ ჯგუფებში.
- ზოგიერთი ფაქტორი ციფრული კომპეტენციების განვითარების როგორც ხელშემწყობი, ისე ხელის შეშლელია (ინტერნეტი, გრიფირებული სახელმძღვანელო, დამხმარე სასწავლო ლიტერატურა და სხვ.), საჭიროა ამ ფაქტორების გამრავალფეროვნება და მიზნობრივი გამოყენება.
- აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის აქტიური თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოებასთან, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- European Union. (2023). განათლებისა და ტრენინგების გზით დებინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ციფრული ნიჭიერების გავრცელების გზამკვლევი მასწავლებლებისა და პედაგოგებისათვის. European Union. მოპოვებული <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/a224c235-4843-11ed-92ed-01aa75ed71a1/language-en-დან>
- Ministry of Education and Science of Georgia. (თ. გ.). National Curricula 2018-2024. მოპოვებული <https://mes.gov.ge/content.php?id=12327&lang=geo-დან>
- Tsiklauri, M. (2015). Women's Job - Professions in Gender Perspective. Liberali. მოპოვებული <https://liberali.ge/articles/view/3864/qalis-saqme--profesiebi-genderul-chrilshi-დან>
- Tsuladze, L. (2020). Qualitative Methods of Sociological Research. Tbilisi: Tbilisi Ivane Javakhsvili State University Press. მოპოვებული https://tsu.ge/assets/media/files/65/Quality_Assurance/Shida_Usrunvelyofa/Projects/Integrity_Docs/Resources/5_OtherRes_Integrity.pdf-დან
- UNESCO Institute for Statistics. (2018). A Global Framework of Reference on Digital Literacy Skills for Indicator 4.4.2. Montreal: UNESCO Institute for Statistics. მოპოვებული <https://uis.unesco.org/sites/default/files/documents/ip51-global-framework-reference-digital-literacy-skills-2018-en.pdf-დან>
- ბასიალაია, ე., & დანელია, ნ. (2022). „საქართველოში მედიანიჭიერების პრაქტიკის კვლევა და საჭიროებების შეფასება. ევროპის საბჭო. მოპოვებული <https://rm.coe.int/geo/1680a5789f-დან>
- ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. (2019). Tracking and Refuting Disinformation in Georgia: Final Social Media Analysis Report. მოპოვებული https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/disinfo_a5_eng_final_.pdf-დან
- კინწურაშვილი, თ., ხორბალაძე, თ., გელავა, ს., რაფავა, ნ., პეტრიაშვილი, მ., & ქურდაძე, დ. (2019). მედია და ინფორმაციული ნიჭიერების სწავლება. თბილისი: მედიის განვითარების ფონდი. მოპოვებული https://mdfgeorgia.ge/uploads/library/105/file/media_da_informaciuli_wignierebis_swavleba.pdf-დან
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023/2024 წლის 22 დეკემბერი). მასწავლებლების რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. თბილისი. მოპოვებული <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/59/zogadi-ganatileba-დან>

